ჩვენი შუამავლის მეგობრები -7

# ჰზ. ომერი

მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ



ჩვენი უსაყვარლესი მეგობრები -7

# ჰზ. ომარი

მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ

muslim georgia

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მელიქე გუნიუზ

მწერალი:
ამინე ქევსერ ქარაჯა,
აიშე ილდიზ ილდირიმ

მზატვარი:
ელიფ იემენიჯი შენ

რედაქტორი:
ელიფ ქონარ

რედაქცია:
სევიმ სარიჩამ, მერიემ უჩარ

გრაფიკული უზრუნველყოფა:
აიშე ადაშ

თურქეთის რელიგიის
საქმეთა სამმართველოს
ფონდის გამომცემლობა

გუვენის ოჯახი ჩვეულებისამებრ საღამოობით წიგნს კითხულობდა. წიგნის კითხვის საათი ოჯახში ტრადიციად იქცა. უცებ შუქი ჩაქრა.

—ეეჰ! რას ვიზამთ ახლა? —თქვა ამინემ.

—არ მიყვარს სიბნელე, —მხარი აუბა დას ალიმ.

—მეც წიგნის ყველაზე ამაღელვებელ ადგილას ვიყავი, —თქვა აიშემ.





–არ იდარდოთ ბავშვებო,
სანთელს ავანთებთ,
–თქვა ბატონმა
იუსუფმა და უჯრიდან
სანთლები ამოიღო.

სანთლების
ანთებასთან ერთად
სახლი ჩრდილების
თეატრად იქცა. ბავშვები
ხელით სხვადასხვა ფორმის
ფიგურებს აკეთებდნენ, რომლებიც
კედელზე ირეკლებოდა. ბავშვები
ხმამაღლა იცინოდნენ. ქალბატონ
ფატმასაც გაეღიმა:

–ბავშვობა გამახსენდა,
ჩრდილების თამაში ჩვენი
ყველაზე საყვარელი გასართობი
იყო, –თქვა და ბავშვებს
შეუერთდა.

ჯერ კატა გამოსახეს, შემდეგ
ლოკოკინა და ჩიტი... ჩრდილის
ცხოველებს სახელები დაარქვეს
და ზღაპრებსაც კი მოყვნენ.
სიბნელე სულ დაავიწყდათ.





სახლში სასიამოვნო გარემო შეიქმნა.

–ბავშვებო სანთელი მე ომერ ბინ აბდულაზიზს მახსენებს, –თქვა ბატონმა იუსუფმა.

–ეს ვინაა მამიკო? –იკითხა ამინემ.





ბატონმა იუსუფმა მოყოლა დაიწყო:

–ომერ ბინ აბდულაზიზი ჰზ. ომერის შვილიშვილი იყო. დიდ ბაბუასავით, ჰზ. ომერივით, სამართლიანი ადამიანი ყოფილა.



იმდენად სამართლიანი იყო, რომ ხალიფობის დროს საკუთარი საქმეებისთვის საკუთარ სანთელს, სახელმწიფოს საქმეებისთვის კი სახელმწიფოს სანთელს იყენებდა.







–ასე რატომ იქცეოდა?
–ჰკითხა ალიმ.

–იმიტომ რომ, სახელმწიფოს სანთელი ხალხისგან შეგროვებული გადასახადებიდან იყო შეძენილი, მასში ყველას ჰქონდა წილი. იმის გამოყენება, რაშიც ყველას წილი აქვს არაა სწორი. ზუსტად ისე, როგორც სხვის ნივთს უკითხავად ვერ გამოვიყენებთ. მუსლიმანი ყველას სამართლიანად უნდა ექცეოდეს, –უპასუხა ბატონმა იუსუფმა.

– კარგი მამიკო, მისი დიდი ბაბუა, ჰზ. ომერი, რამდენად სამართლიანი იყო? – ჰკითხა ამინემ.

– იმდენად სამართლიანი იყო, რომ ყველა სიხარულით შეხვდა მის მიერ ისლამის



მიღებას. ჰზ. ომერი ოთხი დიდი ხალიფიდან ერთ-ერთია. ის სამართლიანი ხალიფას სახელითაა ცნობილი. ხალიფობის დროს, ღამით ხშირად დადიოდა ქუჩებში, ამოწმებდა ვინმეს თუ სჭირდებოდა დახმარება, უთხრა ბატონმა იუსუფმა.

–ჰზ. ომერის მიერ ისლამის მიღებაც საოცარი მოვლენა იყო, დაამატა ქალბატონმა ფატმამ.

–და ამაზე შენ მოგვიყვები დედიკო? –ჰკითხა აიშემ.



ქალბატონმა ფატმამ მოყოლა დაიწყო:

– ჰზ. ომერი ერთ დღეს გზაში ერთ ნაცნობს გადაეყარა და მისგან გაიგო, რომ საკუთარ დას ისლამი მიიღო. ომერი ძალიან გაბრაზდა და დასთან წავიდა. დის სახლში მისულს ყურანის ხმა მოესმა და იკითხა ეს რა იყო. დამ უთხრა, რომ რაც მოისმინა ალლაჰის აიები იყო.



აიებმა დიდი გავლენა მოახდინა ჰზ. ომერზე და ისლამი მიიღო.

ქალბატონმა ფატმამ როგორც კი დაასრულა მოყოლა შუქი მოვიდა. ბატონმა იუსუფმა თაროდან საკუთარი ყურანი აიღო. ხმამაღლა დაიწყო იმ აიების კითხვა, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჰზ. ომერის ისლამის მიღებაში. მთელი ოჯახი ყურადღებით უსმენდა.





მიიყვანეთ ხალხი
სწორი გზით
ყურანთან